

საქართველოს ფრინველები: ფრინველთა ახალი დაფიქსირებები და
არსებული ნუსხის განახლება

Birds of Georgia: New avifaunal records and checklist update

ნიკა ბუდალაშვილი



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე,
მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

ეკოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

სარჩევი

სარჩევი	II
განაცხადი	III
აბრევიატურების ჩამონათვალი	IV
რეზიუმე	VIII
შესავალი	1
კვლევის მიზნები	8
<i>კვლევის ამოცანები</i>	<i>10</i>
კვლევის მასალები და მეთოდოლოგია	11
კვლევის შედეგები	17
დისკუსია	31
ბიბლიოგრაფია	39
დანართი	49

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული, სათანადო წესების შესაბამისად.“

ნიკა ბუდაღაშვილი

29.VI.2023

Submission

"As the author of the submitted master's thesis, I declare that the thesis is my original work and does not contain any material published, accepted or defended by other authors so far that is not mentioned or cited in the thesis in accordance with the relevant rules."

Nika Budagashvili

29.VI.2023

აბრევიატურების ჩამონათვალი

საქართველოს ფრინველთა ნუსხაში წარმოდგენილი სახეობების სეზონურობა:

YR-R = მობინადრე სახეობა; საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება მთელი წლის განმავლობაში.

YR-V = საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება შეგვხვდეს წელიწადის ყველა სეზონზე, მაგრამ სახეობის ბუდობა ქვეყანაში არ დასტურდება.

BB = მოზუდარი სახეობა; ბუდობის დასრულების შემდეგ საბუდარ ტერიტორიებს ტოვებს.

IB = არარეგულარული მოზუდარი სახეობა.

OB = იშვიათი მოზუდარი სახეობა.

FB = წარსულში რეგულარულად მოზუდარი სახეობა; ბუდობა აღარ დასტურდება.

SV = სახეობა საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება შეგვხვდეს გაზაფხულსა და ზაფხულში, მაგრამ ბუდობა არ დასტურდება.

M = მიგრანტი სახეობა; საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად შეიძლება შეგვხვდეს, გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

WV = მოზამთრე სახეობა; საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება შეგვხვდეს გვიან შემოდგომაზე, ზამთარში და ადრეულ გაზაფხულზე.

AD = შემთხვევითი შემომფრენი სახეობა; აბრევიაცია მიუთითებს, რომ სახეობა არის იშვიათი, ან ძალიან იშვიათი საქართველოში და მისი არსებობის მხოლოდ ერთეული რეგისტრირებული შემთხვევები არსებობს; სახეობის გავრცელების არეალი შორსაა საქართველოდან.

ND = სახეობა ნაპოვნია საქართველოში, მაგრამ სტატუსი არაა დადგენილი.

EX = გადაშენებული; სულ მცირე 20 წლის განმავლობაში, მითითებული სახეობის საქართველოში ნახვის შესახებ ცნობები არ არსებობს (აბრევიაცია მხოლოდ ეხება მოზუდარ და მოზამთრე სახეობებს და არა იშვიათ მიგრანტებს).

Cas = შემთხვევითი შემომფრენი სახეობა; ფიქსირდება არარეგულარულად;

INT = ადამიანის მიერ შემოყვანილი სახეობა, რომლის გავრცელების არეალი ცდება საქართველოს ტერიტორიას და აქამდე ბუნებრივად არ გვხვდებოდა

ქვეყანაში; სახეობამ დაიწყო გამრავლება და ადგილობრივი ორნითოფაუნის ნაწილი გახდა.

ESC = გაქცეული სახეობა; აბრევიაცია ისეთ სახეობებს მიუთითებს, რომლებიც გაიქცნენ (ან თვითნებურად გაუშვეს) კერძო კოლექციებიდან, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიაზე დაფუძნება ვერ შეძლეს.

შეგროვებული და დამუშავებული მონაცემების ხარისხი:

H = მაღალი ხარისხი = ფრინველის სამუზეუმო ნიმუში, მითითებული დეტალური მონაცემებით; კარგი ხარისხის ფოტო/ვიდეო მასალა (მტკიცებულება); მაღალი ხარისხის ხმის ჩანაწერი; გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი (სამეცნიერო სტატია, წიგნი, მოხსენება) დეტალური აღწერილობით, საექვო იშვიათი სახეობების შესახებ, სადაც ასევე მითითებულია დაფიქსირების ადგილმდებარეობა, დეტალურ აღწერილობასთან ერთად.

M = საშუალო ხარისხი = ონლაინ ბაზებში მოპოვებული მონაცემები, დეტალური აღწერილობით; ცუდი ხარისხის ფოტო/ვიდეო მასალა (მტკიცებულება), ან ხმის ჩანაწერი; პირადი მონაცემები, სულ მცირე ორი სპეციალისტის მიერ დადასტურებული, სახეობის დეტალური აღწერილობით; სამუზეუმო ნიმუში ბუნდოვანი დეტალებით; სამეცნიერო ნაშრომი დეტალური აღწერილობისა და ადგილმდებარეობის გარეშე.

L = დაბალი ხარისხი = გამოცდილი ადამიანების (ფრინველებზე დამკვირვებლები, მონადირეები, ორნითოლოგები) მიერ შეგროვებული მონაცემები.

U = დაუდასტურებელი = რეალობას აცდენილი, დაუდასტურებელი ინფორმაცია (სამოქალაქო მეცნიერების ბაზები, ფრინველებზე დამკვირვებლები, მონადირეები, ბუნების მოყვარული ადამიანები).

მონაცემების ხარისხი, საქართველოში არსებული ფრინველთა სახეობების სეზონურობის შესახებ, წარმოდგენილია შემდეგი აბრევიატურებით:

A = სახეობის მითითებული სეზონურობა ქვეყანაში დასტურდება ორი ან მეტი სპეციალისტის მიერ; სახეობა მოხსენიებულია ერთ, ან რამდენიმე ონლაინ მონაცემთა ბაზაში, სადაც მითითებულია სურათი და თარიღი.

A0 = სახეობის მითითებული სეზონურობა არ არის დადასტურებული ან შესწავლილი საქართველოში.

დოკუმენტური მტკიცებულება, საქართველოს ფრინველთა სახეობების შესახებ, ჩამოთვლილია შემდეგი აბრევიატურებით:

SR = ხმის ჩანაწერი.

PH = ფოტო/ვიდეო მტკიცებულება.

MP = სახეობა ნახსენებია გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში, სტატიაში, წიგნში.

RTD-P = გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი სისტემის (GPS) საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია.

S = მუზეუმებში შენახული ორნითოლოგიური მასალა (ნიმუში).

RD = მონაცემები საქართველოში დარგოლილი ფრინველთა სახეობების შესახებ.

CH = მონადირის (ან ბრაკონიერის) მიერ მოპოვებული სახეობები.

HR = ისტორიული დაფიქსირება; ბოლო ათწლეულების მანძილზე სახეობა საქართველოში აღარ დაფიქსირებულა.

? = სახეობა ნანახი და გარკვეულია ექსპერტის მიერ (ან ფრინველებზე დამკვირვებლების მიერ), მაგრამ დოკუმენტური მტკიცებულება არ არსებობს.

წითელი ნუსხის კატეგორიები, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიხედვით, ჩამოთვლილია შემდეგი აბრევიატურებით:

EX = გადაშენებული სახეობა.

EW = ბუნებაში გადაშენებული სახეობა.

CR = კრიტიკულ საფრთხეში მყოფი სახეობა.

EN = საფრთხეში მყოფი სახეობა.

VU = მოწყვლადი სახეობა.

NT = საფრთხესთან ახლოს მყოფი სახეობა.

LC = არ საჭიროებს ზრუნვას.

DD = არასრული მონაცემები.

NE = არ არის შეფასებული.

RE = რეგიონულ დონეზე გადაშენებული სახეობა.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ფრინველების პირველ, ანოტირებულ ნუსხას საქართველოსთვის. ბოლო ათწლეულებში, ფრინველების რელევანტური ნუსხის შესაქმნელად განხორციელებული მცდელობების მიუხედავად, სიღრმისეული კვლევა საქართველოს ორნითოფაუნის შესასწავლად და ფრინველთა ნუსხის სრულყოფილი ვარიანტის შესაქმნელად ფაქტობრივად არ ჩატარებულა. ფრინველთა მრავალფეროვნების კვლევა აქტიურად მიმდინარეობდა გასული ორი საუკუნის განმავლობაში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ კი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. რამდენიმე წიგნი გამოქვეყნდა ამ პერიოდებში, რომლებიც სხვადასხვა ხარისხის, განსხვავებულ მონაცემებს შეიცავს. მნიშვნელოვანმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ფრინველთა სარკვევებმა და რაც ყველაზე მთავარია, სამოქალაქო მეცნიერების მიერ შეგროვებული მონაცემების ხელმისაწვდომობამ განაპირობა, რომ ძველი, გამოქვეყნებული ფრინველთა ნუსხები და დაფიქსირებები მიმომხილავ, შესაბამისად კი შემექმნა ახალი, ანოტირებული ფრინველთა ნუსხა, სადაც გავაერთიანე სახეობათა უახლესი, თანამედროვე დაფიქსირებები, რომლებიც შევაგროვე სოციალური ქსელებისა და სამოქალაქო მეცნიერების სხვადასხვა პლატფორმის დახმარებით. სამოქალაქო მეცნიერებამ და ონლაინ პლატფორმების მარტივად ხელმისაწვდომობამ შესაძლებელი გახადა საქართველოს განახლებული, ანოტირებული ფრინველთა ნუსხის შექმნა, სადაც გაერთიანებულია განახლებული საერთაშორისო და ეროვნული წითელი ნუსხის კატეგორიები, ფრინველთა სახეობების სეზონურობა და ყველაზე მნიშვნელოვანი - ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემების ხარისხი, საქართველოში დაფიქსირებული ფრინველის ყველა სახეობის შესახებ, რომელიც ამ დრომდე არ იყო მიმოხილული, რისი საშუალებითაც საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული ფრინველების არსებობა დადასტურდებოდა, ან პირიქით.

Abstract

Appointed work represents the first annotated avifaunal checklist for the country of Georgia in English. During the last decades several attempts have been performed to create the complete bird list of Georgia. These attempts have been based on the analysis of the existing published literature and personal information of professional ornithologists. Several books were published about birds of Georgia and birds of the Caucasus in the last two centuries, comprising different data with different quality. Rapid increase of visiting and resident birdwatchers in 21st century, improvement of valuable technologies, bird identification guides and easy accessibility of the citizen science data made it possible to review and study records of bird species reported by birdwatchers. After thorough review of this data, in combination with published literature, museum specimens and personal communication from ornithologists, we have created the new annotated checklist. Citizen science and accessible online platforms made it possible to fulfil this greatly desired work incorporating renewed national and international IUCN red list categories, statuses of seasonal presence of individual bird species and most importantly the quality of the given data about the occurrences for all bird species ever recorded in the country. Data quality assessment has never been performed to prove or deny observations found in different sources. Therefore, we examined all accessible modern and historical literature, data obtained from free online citizen science platforms and databases such as eBird, Georgia.observation.org, Xeno-canto, iNaturalist, Trektellen, RingBase, social media groups, personal communications with experts and used all the possible reliable sources for creating an annotated avifaunal checklist of Georgia.